როჯერ ზელაზნი

ქაოსის კარი

ამბერის ქრონიკები

წიგნი 5

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2012

“The Courts of Chaos” Roger Zelazny
„ქაოსის კარი“ როჯერ ზელაზნი

მთარგმნელი: დავით ახალაძე
რედაქტორი: ანდრო ბუაჩიძე
დაკაბადონება: ქეთევან ღონღაძე
გარეკანი: თამარ მეტრეველი, თამარ ბასილია

copyright © 1978 by Roger Zelazny

Published by agreement with the author and the author’s agents,
Ralph M. Vicinanza, Ltd.

საავტორო უფლება თარგმანზე
© 2012 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-087-3

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

თავი პირველი

ამბერი: კოლვირის მწვერვალზე აღმართული და შუადღის მზის ქვეშ გაცისკროვნებული. შავი გზა: ბნელი და შემზარავი, გარნათის ველიდან ქაოსის კარამდე გადაჭიმული. მე: სასახლის ბიბლიოთეკაში ვბობოქრობ, ბოლთას ვცემ და დროდადრო რაღაცას ვკითხულობ. ბიბლიოთეკის კარი ჩაკეტილია: ურდულით მაქვს გადარაზული.

ამბერის გამძვინვარებული პრინცი მაგიდას მიუჯდა და გადაშლილ ფოლიანტს მიუბრუნდა. კარზე დააკაკუნეს.

— მომშორდით! — დავიღრიალე.

— კორვინ, მე ვარ, რენდომი. გამიღე რა! აი, სადილი მოგიტანე.

— მოიცა.

წამოვდექი, მაგიდას შემოვუარე და ოთახი გადავჭერი. კარი რომ გავაღე, რენდომმა თავი დამიკრა. ხონჩა შემოიტანა და ჩემი მაგიდის გვერდით პატარა ტაბლაზე დადგა.

— ამდენი საჭმელი რად მინდა? — ვკითხე გაკვირვებულმა.

— მეც მშიერი ვარ.

— მაშ, საქმეს მიხედე.

მანაც მიხედა — ხორცი ჩამოჭრა, პურის ნაჭერს დაადო და მომაწოდა. მერე ღვინოც ჩამომისხა. დავსხედით და ჭამას შევუდექით.

— ვიცი, გაბრაზებული ხარ, — მითხრა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, — ხომ ასეა?

— რა გითხრა? მართალია, მე უფრო მიჩვეული ვარ მის ასეთ გამოხტომებს, მაგრამ... კი, ყველაფერი ისე მოულოდნელი იყო...

— მოულოდნელი?

დიდი ყლუპი მოვსვი.

— ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც სჩვევია. უარესადაც. თბილი გრძნობებიც კი გამიჩნდა მის მიმართ, როცა თავს განელონად გვაჩვენებდა. ახლა კი, როდესაც მართვის სადავეებს დაუბრუნდა, ისევ უწინდელივით ქედმაღალი და აუტანელი გახდა — ყოველგვარი ახსნის გარეშე რაღაც განკარგულებები დაგვიტოვა და ისევ უკვალოდ გაქრა.

— ხომ გვითხრა, მალე დაგიკავშირდებითო.

— თავს დავდებ, ბოლო წასვლისასაც მალე გეგმავდა გამოჩენას.

— მაგაში დარწმუნებული არ ვარ.

— ...წინა გაუჩინარების მიზეზიც არ გაგვაგებინა. საერთოდ, არაფერში არ გაგვარკვია.

— ალბათ ასე იყო საჭირო.

— უკვე ეჭვი მეპარება, რენდომ. ხომ შეიძლება, ბოლო წლებში ჭკუა გათხელებოდა?

— მაგ თხელი ჭკუით კარგად კი გაგაბითურა...

— ეგ მხოლოდ ცხოველური ცბიერებისა და გარეგნობის ცვლის უნარის ნაზავი იყო და და სხვა არაფერი.

— კი მაგრამ, ხომ გაჭრა?

— გაჭრა.

— კორვინ, იქნებ არ გინდა, რომ რაიმე გონივრული გეგმა ჰქონდეს და თითოეული მისი ნაბიჯი სწორი გამოდგეს?

— რა სისულელეა! ამ ამბის მოგვარება ისევე მინდა, როგორც ნებისმიერ ჩვენგანს.

— კი, მაგრამ განა არ გერჩივნა, რომ კითხვებზე პასუხი სხვა მხრიდან მიგეღო?

— რას გულისხმობ?

— იმას, რომ მისი ნდობა არ გინდა.

— მართალი ხარ. რამდენი ხანია არ მინახავს, ყოველ შემთხვევაში, თავისი ნამდვილი სახით.

რენდომმა თავი გაიქნია:

— მე ეგ არ მიგულისხმია. იმან გაგამწარა, რომ დაბრუნდა, ასე არაა? იმედი გქონდა, რომ ვეღარასოდეს ნახავდი.

მზერა ავარიდე.

— კი, ასეა, — გამოვტყდი ბოლოს, — მაგრამ არა ტახტის გამო... უფრო სწორად, მხოლოდ ტახტის გამო არა. პირადად მას ვერ ვგუობ, რენდომ, მას. ესაა და ეს.

— ვიცი, — მომიგო მან, — მაგრამ აღიარე, რომ ბრანდს მან აჯობა, რაც არც ისე ადვილი საქმე იყო. სწორედ მან მოიფიქრა ის გაუგებარი ხრიკი, ტირ-ნა ნოგ'თიდან ბენედიქტისთვის მექანიკური ხელი რომ ჩამოგატანინა. მერე კი, საქმე ისე გააწყო, რომ ბენედიქტი სათანადო დროს

სათანადო ადგილას აღმოჩენილიყო და მისთვის მართლმსაჯულების ქვა დაებრუნებინა. გარდა ამისა, ის ნებისმიერ ჩვენგანზე უფრო გაწაფულია ანარეკლების მართვაში. მან ანარეკლის შეცვლა კოლვირზეც კი შეძლო, როცა პირველქმნილ ლაბირინთთან მიგვიყვანა. მე ამის გაკეთება არ შემიძლია. არც შენ... მერე ჯერარდი როგორ მიჟეჟა! არა, ძმაო, ის ჯერ არც დაბეჩავებულა და არც გამოლენჩებულა. მგონი, კარგად იცის, რასაც აკეთებს და მნიშვნელობა არ აქვს, მოგვწონს ეს ამბავი თუ — არა. ჩემი აზრით, იგი ერთადერთია, ვისაც დღევანდელი მდგომარეობის გამოსწორება შეუძლია.

— მოკლედ, იმას მიმტკიცებ, რომ ბოლომდე უნდა მივენდო?

— იმას გიმტკიცებ, რომ არჩევანი არ გაქვს.

ამოვიოხრე:

— მგონი, მართალი ხარ. დაბოღმვას აზრი არ აქვს. თუმცა...

— შეტევის ბრძანება გაშფოთებს, არა?

— კი. და არა მარტო ეგ. ცოტა მეტ ხანს რომ მოვიცადოთ, ბენედიქტი უფრო დიდი ლაშქრის შეკრებას შეძლებს. სამი დღე ასეთი ამბისთვის საკმარისი არაა, მით უფრო, რომ მტრის შესახებ ბევრი არაფერი ვიცით.

— შესაძლოა, არც მთლად ეგრეა საქმე. ის დიდ ხანს ეთათბირა ბენედიქტს.

— ეგ სულ სხვა რამაა. ან რა საჭიროა ეს გამიჯვნით გაცემული ბრძანებები, ეს იდუმალება?... მოკლედ, აუცილებელზე მეტად არ გვენდობა.

რენდომს გაეცინა. მეც ავყევი.

— კარგი, კარგი, — დავეთანხმე, — ალბათ მეც ასე მოვიქცეოდი... მაგრამ სამი დღე ომის დასაწყებად? — თავი გავიქნიე, — იმედია, ჩვენზე მეტი რამ იცის.

— მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ეს უფრო პრევენციული დარტყმა იქნება, და არა ნამდვილი ომი.

— კი, მაგრამ იმის თქმა კი დაავიწყდა, რის პრევენციას ვახორციელებთ.

რენდომმა მხრები აიჩეჩა და კიდევ დაისხა.

— ალბათ გვეტყვის, როცა დაბრუნდება. შენ რაღა დაგავალა?

— მხოლოდ ის, რომ ვიდგე და ველოდო. შენ?

რენდომმა თავი გააქნია:

— დამიბარა, როცა დრო მოვა, გეტყვი რა უნდა გაკეთოო. აი, ჯულიანს კი ჯარის სალაშქროდ მომზადება უბრძანა.

— ჰა? მერე არდენს დაუცველს ტოვებს?

მან თავი დამიკრა.

— როდის გასცა ეგ ბრძანება.

— წახვედი თუ არა. ჯულიანი კარტით გამოიძახა და სადღაც წაიყვანა. გავიგონე, როგორ უთხრა, ცოტა ხანს შენთან ერთად ვიმგზავრებო.

— კოლვირზე გამავალ აღმოსავლეთის ბილიკს დაადგნენ?

— კი. მეც იქ ვიყავი, როცა გაემგზავრნენ.

— საინტერესოა. სხვა რა გამოვტოვე?

რენდომი შეიშმუშნა.

— კიდევ ერთი რამ, რამაც მოსვენება დამიკარგა, — მომიგო მან, — ცხენზე რომ შეჯდა, მამამ გადმომხედა, ხელი დამიქნია და მითხრა, მარტინზე თვალი გეჭიროსო.

— სულ ესაა?

— კი, მაგრამ რატომღაც სიცილით მითხრა ეს.

— უცხო კაცის მიმართ უნდობლობა გასაკვირი არ უნდა იყოს.

— მაშ, რაღა აცინებდა?

— წარმოდგენა არ მაქვს, — ყველი ჩამოვიჭერი და გადავსანსლე, — თუმცა, შესაძლოა, მართალი ხარ და ეგ ეჭვის გამო სულაც არ უთქვამს. იქნებ გრძნობს, რომ მარტინს რაღაც საფრთხე ემუქრება? ან იქნებ ისიცაა და ისიც. ანდა, არც ერთი და არც მეორე. მაგისას რას გაიგებ!

რენდომი სწრაფად წამოდგა.

— მაგაზე აღარ მიფიქრია, — მითხრა მან, — წამომყევი ერთი, თუ ძმა ხარ, მთელი დილაა აქ ზიხარ.

— წამო, — ავდექი და გრეისვანდირი შევიბი, — ისე, სადაა ახლა მარტინი?

— პირველ სართულზე დავშორდი, ჯერარდს ელაპარაკებოდა.

— სანდო ხელში დაგიტოვებია. ჯერარდი აქ რჩება, თუ ფლოტს უბრუნდება?

— არ ვიცი. ის მიღებულ მითითებებს ჩემთან არ იხილავს.

ბიბლიოთეკიდან გამოვედით და კიბისკენ გავეშურეთ. ქვემოთ რომ ჩავდიოდით, ჩოჩქოლი შემომესმა და ნაბიჯს ავუჩქარე. მოაჯირიდან გადავიხედე და სეფე-დარბაზის შესასვლელთან ჯერარდი, მის ირგვლივ კი, სასახლის მცველ-

თა გროვა დავინახე. ისინი ჩვენგან ზურგით იდგნენ და ეტ-ყობოდა, დარბაზში შესვლას ცდილობდნენ. კიბის ბოლო საფეხურებს გადავახტი და მათკენ გავქანდი. რენდომი ცოტა ჩამომრჩა.

გუშაგებს შორის გზა ძალით გავიკვლიე და ჯერარდამ-დე მივაღწიე.

— რა ხდება? — ვკითხე მას.

— თავი მომჭერი, თუ ვიცოდე, — მომიგო მან, — შე-ნი თვალით ნახე, შიგნით ვერ შევდივართ.

ჯერარდი განზე გადგა და გამატარა. ერთი ნაბიჯი გა-დავდგი, მეორე და, უეცრად ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს დრეკად, უხილავ კედელს შევეჯახე. კედლის მიღ-მა კი დავინახე სცენა, რომელმაც სრულად გადახლართა ერთმანეთში უწინდელი განცდები და მოგონებები. ჩემი დაფრთხობა ადვილი არაა, მაგრამ მოულოდნელად შიშმა მაჯებსა და ქეჩოში ხელი ჩამავლო და ადგილზე გამაქვავა.

მარტინს სახეზე ღიმილი გადაჰფენოდა და ხელში ბანქოს ქაღალდი ეჭირა. გვერდით ბენედიქტი დავინახე, რომლისთვისაც აშკარად იმ წუთას მოეხმოთ კარტის სა-შუალებით. იქვე, ტახტის კვარცხლბეკზე, კარისგან ზურ-გშექცევით, ვიღაც გოგო იდგა. კაცები ერთმანეთში ლაპა-რაკობდნენ, მაგრამ მათი სიტყვები არ მესმოდა. ბოლოს ბენედიქტი გოგოს გამოელაპარაკა და მანაც რაღაც უპა-სუხა. ბენედიქტი კვარცხლბეკზე ავიდა და მაშინღა დავი-ნახე იმ ახალგაზრდა ქალის სახე.

— ეს ქალწული თითქოს მეცნობა, — მითხრა ჯერარ-დმა, რომელიც ამასობაში გვერდით მომიჩოჩდა.

— ალბათ ერიკის სიკვდილის დღეს მოჰკარი თვალი. მაშინ ამბერისკენ მიმავალმა გვერდით ჩაგვიქროლა. ესაა დარა.

გავიგონე, როგორ შეეკრა სუნთქვა.

— დარა! — წამოიძახა მან, — ესე იგი... — ხმა ჩაუწყდა.

— სიმართლეს გეუბნებოდით, — დავუდასტურე, — ის მართლა არსებობს.

— მარტინ! — დაიყვირა რენდომმა, რომელიც ამასობაში გუშაგებს შორის გამოძვრა და გვერდით დამიდგა, — რა ხდება?

მისთვის არავის უპასუხია.

— ვეჭვობ შენი ხმა გააგონო, — უთხრა ბოლოს ჯერარდმა, — ამ ზღუდით მათგან სრულად ვართ გამიჯნულები.

რენდომმა ხელები უხილავ კედელს მიაბჯინა, დაიძაბა და დარბაზში შესვლა სცადა.

— მოდი, ყველა ერთად მივაწვეთ, — შემოგვთავაზა მან.

მეც მივეხმარე, ჯერარდიც, მაგრამ ნახევარწუთიანი ამაო ჭიდილის შემდეგ უკან დავიხიე.

— ტყუილად ვირჯებით, — ვთქვი ბოლოს, — ამ კედელს ძვრას ვერ ვუზამთ.

— ეს რა დოზანაა! — ჩაიბუზღუნა რედომმა, — რა ძალა გვაკავებს?

ამ კითხვაზე პასუხი მქონდა, თუმცა ეს სუფთა წყლის ვარაუდი იყო. ჩვენ წინ გადაშლილი სცენის დანახვისთანავე დეჟავიუს განცდა გამიჩნდა. უეცრად ხელი ქარქაშს წავატანე და დავრწმუნდი, რომ გრეისვანდირი კვლავ წელზე მერტყა. მაშ რითი უნდა ამეხსნა ის, რომ ჩემი მახვილი,